პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 35 (13717) | პარასკევი, 10 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ერთსულოვნება და შეკავშირება

ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში კვლავ ეწყობა მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები. ისინი საყოველთაოდ ცხადყოფენ პარტიისა და ხალხის დიად ერთობას, კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკის სიმტკიცეს.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თბილისის ლენინის სახელობის ელექტროვაგონშენებელი ქარხანაში.

კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ღვალაძემ. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. გურულმა. მან შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილი წლები, — თქვა კ. გურულმა, — ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზის მხოლოდ მცირე ნაწილია. საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც თვალი ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, ახალი წარმატებანი მოიპოვეს კომუნისტურ მშენებლობაში. ყველი ჩვენი მიღწევა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური კურსის შედეგი. ვასახელებ ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის კანდიდატურას, რომელიც მრავალი წელია ხელმძღვანელობს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, და დარწმუნებული ვარ, რომ იგი, როგორც ყოველთვის, ღირსეულად გააამართლებს ჩვენს ნდობას.

სიტყვა ეძლევა ასურეთის ავიაქროს ზეინკალს ი. გელაშვილს. მან მხარი დაუჭირა ვ. პ. მჟავანაძის კანდიდატურას და შეიტანა წინადადება ამავე საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ აგრეთვე ელექტროვაგონშენებელი ქარხნის დირექტორი **გიორგი პიმენის-ძე სამხარაძე.**

ვ. პ. მჟავანაძისა და გ. პ. სამხარაძის კანდიდატურებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ე. ალიოგაოვმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ლომაძემ, ექსპერიმენტული საამქროს ზეინკლმა გ. მოისეევმა, მთავარი ტექნოლოგიური განყოფილების ბიუროს უფროსმა მ. კლინკინამ, სამანქანო საამქროს უფროსმა ვ. კერესელაძემ.

წინასაარჩევნო კრებამ ერთხმად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში დაასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე** და თბილისის ლენინის სახელობის ელექტროვაგონშენებელი ქარხნის დირექტორი **გ. პ. სამხარაძე** და სთხოვოს მათ, რომ კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

სრული ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარებაში ჩაიარა ლენინის ორდენსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

წინასაარჩევნო კრება შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დარსაველიძემ.

ტრიბუნაზეა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი ე. ორდელაძე.

— ამ დღეებში, — თქვა მან, — ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა წინასაარჩევნო კრებები. ხალხი სამშობლოს საუკეთესო შვილებს ირჩევს თავის კანდიდატებად. საბჭოთა საქართველო არჩევნებისთვის ემზადება როგორც დიდი ნაციონალური ფესვებისა.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მრავალრიცხოვანი კოლექტივის სახელით თ. ორდელაძემ წინადადება წამოაყენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის 25 თებერვლის № 20 საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

— უკვე მრავალი წელია, — თქვა თ. ორდელაძემ, — გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი მეთაურობს საქართველოს მთავრობას. ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ინტერესებისათვის, მთელ თავის ენერგიასა და ცოდნას ხალხის სამსახურს ახმარს. დარწმუნებული ვარ, რომ ამხანაგი გ. დ. ჯავახიშვილი გაამართლებს ხალხის ნდობას.

ამ წინადადებას მხურვალე ტაშით შეხვდნენ კრების მონაწილენი.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სახალხო არტისტს კინორეჟისორ ს. პიუტიერელს. მან მხარი დაუჭირა წინადადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელოს ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის დასახელების შესახებ.

ტრიბუნაზე ადიან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე ვ. ქელაძე, მუშა ი. ესანიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კინორეჟისორი ნ. სანიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კინორეჟისორი ს. დოლიძე. მათ ინიციატივაკეს, თუ რა წვლილი შეაქვს გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და სულითა და გულით უჭერს მხარი წინადადებას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.

ლენინის ორდენსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივის საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის № 20 საარჩევნო ოლქში დასახელონ **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

თბილისი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. სალარაძემ.

ტრიბუნაზეა სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. გედევანიშვილი.

— ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით, — თქვა დ. გედევანიშვილმა, — შემომაქვს წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის მელიქიშვილის № 43 საარჩევნო ოლქში დასასახელოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე.** ამხანაგი გ. ს. ძოწენიძე უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის პრეზიდენტია. მთელ ძალღონესა და ენერგიას, მთელ ცოდნას იგი ახმარს სამშობლოს სამსახურს, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას. დარწმუნებული ვარ, რომ ამხანაგი გ. ს. ძოწენიძე, როგორც ყოველთვის, გაამართლებს მშრომელთა ნდობას.

— სულითა და გულით ვუჭერ მხარს გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძის კანდიდატურას, — თქვა პროფესორმა ე. ფიფიამ. — ყველამ იცის, რომ იგი არა მარტო თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეა, არამედ მეცნიერიცაა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების აყვავებაში.

წინადადებას, რომ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატად დაასახელონ გ. ს. ძოწენიძე, მხარი დაუჭირეს ფსიქიატრიის კათედრის გამგემ პროფესორმა ი. მენთეშაშვილმა, პოლიტეკონომიის კათედრის გამგემ პროფესორმა ვ. აბულაძემ, ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიის სექტორის გამგემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. პატარიკამ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. ლაფურმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის მელიქიშვილის № 43 საარჩევნო ოლქში დასასახელოთ **გ. ს. ძოწენიძე** და სთხოვოს მას კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში.

გაიმართა თბილისის ქარხანა „წყალმომყვანილობის“ მუშაობა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას მიეძღვნა.

წინასაარჩევნო კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ლაზარაძემ. შემდეგ მან სიტყვა მისცა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანს ვ. ცარაევს.

— ჩვენი კოლექტივის სახელით, — თქვა მან, — წინადადება შემომაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პისარევის № 30 საარჩევნო ოლქში დავასახელოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვასილ ალექსანდრეს-ძე ჩოფიკაშვილი.** ამხანაგი ჩოფიკაშვილი სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსია. მან განვლო გზა ბრიგადირიდან საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილემდე. დარწმუნებული ვარ, რომ იგი გაამართლებს ჩვენს ნდობას.

ქარხნის დირექტორმა კ. გოლუბოვმა, მექანიკური საამქროს უფროსმა ნ. ალფიდონნაძემ, ზეინკლებმა ვ. დუღაშვილმა, გ. ბენთეშაშვილმა, ხარატმა მ. ახაროვმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი წინადადებას, რომ ვ. ა. ჩოფიკაშვილი დასასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება დასასახელონ **ვ. ა. ჩოფიკაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პისარევის № 30 საარჩევნო ოლქში.

ქუთაისი-სართავი ფაბრიკის სართავი საამქრო ხალხით არის სავსე. აქ შეიკრიბნენ საწარმოს მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები, რათა დასასახელონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

კრება გახსნა პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ჩხეიძემ.

სიტყვა ეძლევა ფაბრიკის დირექტორს ე. თავაძეს. მისი წინადადებაა დეპუტატობის კანდიდატად დასასახელონ **ციალა იოსების ასული კვირიკაშვილი.** საწარმოს ერთ-ერთ საუკეთესო მქსოველად ითვლება ციალა კვირიკაშვილი. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა აქ მოვიდა, შემდეგ შევიდა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების კურსებზე და ძალიან მალე თავისი ბეჯითი შრომითა და გულმოდგინებით კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მოწინავე მუშა გახდა. როცა კომკავშირელი იყო, ამხანაგებმა იგი თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს. შემდეგ ციალა პარტიის რიგებში შევიდა და კომუნისტებმა იგი ფაბრიკის პარტიული ბიუროს შემადგენლობაში აირჩიეს.

ც. კვირიკაშვილი ერთ-ერთი პირველი ჩაება შეჯიბრებაში პროფესიაში საუკეთესოს წოდებისათვის. მან ვალდებულება იკისრა თავისი მინისტრი ჯ. ბრაუნი, სხვა მინისტრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში მ. ნ. სმირნოვსკი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერ ჯეფრი ჰარისონი.

შეხვედრის მონაწილენი ფეხზე ამდგარი, ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ლონდონის ლორდ-მერმა რობერტ ბელინჯერმა.

წელს საბჭოთა კავშირს ვულოცავთ ახალი ტიპის პოლიტიკური გაერთიანების არსებობის ოქროს იუბილეს, თქვა მან. საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეკრებილთა სახელით რომ მიესალმა, სერ რობერტ ბელინჯერმა თქვა:

ბატონო ა. ნ. კოსიგინ, გთხოვთ ჩემი სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

ლონდონის ლორდ-მერმა ხაზი გაუსვა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების მნიშვნელობას.

შემდეგ გამოვიდა ა. ნ. კოსიგინი.

ახლა საერთაშორისო დაძაბულობის მთავარი ფაქტორი, თქვა მან, ვიეტნამის ამბებია. ამერიკის აგრესია — აი ნამდვილი და არსებითად ერთადერთი მიზეზი ვიეტნამის ომისა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ამ ომის თესლს თესავდნენ ჯერ კიდევ 1954 წელს, როცა საბჭოთა კავშირისაგან, ინგლისისა და სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მშვიდობის დამყარებისათვის ინდოჩინეთში, და მომდევნო წლებში, როცა მათ აკრძალეს საყოველთაო დელეგატიული არჩევნები, რომლებიც ჟენევის შეთანხმებებით იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ვიეტნამის ხაკითხში, თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, განაცხადა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, ჩვენ მოვითხოვთ ჟენევის შეთანხმებათა ზუსტად დაცვას, იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვონ ვიეტნამი და ვიეტნამელ ხალხს უფლება მისცენ თვითონ გადაწყვეტოს თავისი საქმეები გარედან ჩაურევლად. ეს ერთადერთი სამართლიანი და ლოგიკური საფუძველია კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

დიდი ბრიტანეთი, განაგრძო ა. ნ. კოსიგინმა, სახელმწიფოა, რომლის აზრს ბევრი უწევს ანგარიშს. ამიტომ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ახლა, ისევე როგორც 1954 წელს, საბჭოთა კავშირთან და სხვა ქვეყნებთან ერთად დიდ ბრიტანეთს შეუძლია შეიტანოს წვლილი ვიეტნამის საკითხის მოწესრიგებაში ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც უნდა შესრულონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ის, რომ ამერიკელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ დაბომბვა და ყველა სხვა აგრესიული ქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირს, თქვა შემდეგ ა. ნ. კოსიგინმა, არა აქვს რაიმე განსაკუთრებული მიზანი ევროპის პოლიტიკაში, როგორი გვინდა იყოს ევროპა, როგორი პირობები გვინდა რომ შეიქმნას ევროპის კონტინენტზე? თუ საკითხის პოლიტიკურ მხარეს შევეხებით, ეს უნდა იყოს ევროპა, რომელშიც ყოველი სახელმწიფო დარწმუნებული იქნება, რომ მისი საზღვრები და მისი უშიშროება საიმედოდ არის უზრუნველყოფილი, ევროპა, რომელშიც თითოეულის უშიშროება ამავე დროს ყველას უშიშროება იქნება. საერთაშორისო ურთიერთობა ასეთ ევროპაში უნდა ემყარებოდეს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ეროვნული დამოუკიდებლობა, თანასწორუფლებიანობა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, მათი ტერიტორიული ხელშეუხებლობის პატივისცემა და იმ ნაკისრ ვალდებულებათა ზუსტად დაცვა, რომ სადავო საკითხები გადაჭრან მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების გზით, ურთიერთნდობის საფუძველზე, ესე იგი მშვიდობიანი გზით.

ახლა, განაგრძო ა. ნ. კოსიგინმა, დასავლეთშიც ბევრი ყურადღებით აკვირდება იმ ამბებს, რაც დასავლეთ გერმანიაში ხდება, და რასაც იქ ხედავენ, შეშფოთებას იწვევს. ეს კანონიერი შეშფოთებაა.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ვერ შეურიგდებიან, რომ გერმანიის მილიტარისტმა მიაღწიოს მიზნებს, რომლებსაც ესწრაფვის — რვეზია გაუწიოს ევროპაში შექმნილ საზღვრებს, მოსპოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ხელში ჩაუგდოს დასავლეთ გერმანიას ატომური იარაღი.

გვინდა, რომ მომავალში საბჭოთა კავშირი და დიდი ბრიტანეთი, ჩვენი ქვეყნების ხალხები, თქვა დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა, მოქმედებდნენ შეთანხმებულად, თავიანთ მეცადინეობას აბმარდნენ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას და იმას, რომ არ დაუშვან ახალი მსოფლიო კონფლიქტი.

ლორდ-მერისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვები დამსწრეთ მოისმინეს დიდი უურადღებით. მათი სიტყვების დროს არაერთგზის გაისმოდა ტაში.

დედაქალაქის ლორდ-მერმა და ლონდონის სიტის კორპორაციამ დღეს საუზმე გამართეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად. საუზმის დროს ლორდ-მერმა აღდეგრძელა დედოფალი ელისაბედ მეორე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი. შესრულდა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ა. ნ. კოსიგინმა მადლობა გადაიხადა გულთბილადობისა და მიღებისათვის. რომელიც მას და სხვა საბჭოთა მოღვაწეებს გაუწიეს, აყვავება და წარმატებანი უსურვა ინგლისელ ხალხს.

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკ. კორ.). დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის პატივსაცემად. დარბაზობა „ლანკასტერ-ჰაუზში“ მიმდინარეობდა.

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკ. კორ.). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა საელჩოში სადილი გამართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის პატივსაცემად.

ინგლისის მთავრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ბრაუნი და დიდი ბრიტანეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სერ ჯ. ჰარისონი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. კლაუსონი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სოლდატოვი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში მ. ნ. სმირნოვსკი და სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინმა და ჰ. ვილსონმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა •

საიუბილეო შეჯიბრება

ი. ხაზარაძის ბრიგადის თაოსნობა

ბრიგადა კისრულობს:

☐ დანერგოს 60 რაციონალიზატორული წინადადება; ☐ ხუთწლედის ფონდში შეიტანოს 30 000 მანეთი; ☐ რაციონალიზატორულ მუშაობაში დამატებით ჩაებას 50 მუშა.

ქუთაისი. შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე ხელმძღვანელობს.

ბრიგადამ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გადდებული ვალდებულებები იკისრა და **მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ყველა ბრიგადას, ყველა რაციონალიზატორს შარათოდ გაეაზღონ საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ლითონებისა და მასალების დაზოგვისათვის.**

თოთხმეტი კაცისაგან შემდგარმა რაციონალიზატორთა ბრიგადამ გადაწყვიტა მიმდინარე წელს შეიმუშაოს 80 წინადადება, რომელთაგან დიდი ოქტომბრის საიუბილეო დღესათვის წარმოებაში დანერგოს სულ ცოტა 60 წინადადება და ამ გზით მიღებული პირობითი ეკონომიით ხუთწლედის ფონდში შეიტანოს 30 ათასი მანეთი. თავიანთი წინადადებების დანერგვით რაციონალიზატორები დაზოგავენ 10 ტონა ფერად და 50 ტონა შავ ლითონს, ცხელი საამქროებისათვის საჭირო 10 ათასი მანეთის ძირითად და დამხმარე მასალებს.

ბრიგადის წევრები კისრულობენ წინადადებათა გაფორმებასა და დანერგვაში დაეხმარონ ქარხნის 100 რაციონალიზატორს, რაციონალიზატორულ მუშაობაში დამატებით ჩაებან 50 მუშა, აქტიური ბრძოლა გააჩაღონ ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაციისა და წარმოების სანიმუშო კულტურისათვის.

ი. ხაზარაძის რაციონალიზატორთა ბრიგადამ უკვე გადადგა მტკიცე ნაბიჯები ნაკისრ ვალდებულებათა უთუო შესრულებისათვის. მარტო იანვარში ბრიგადის წევრებმა ოცი წინადადება შეიტანეს, რომელთაგან სამი უკვე დანერგა წარმოებაში, რითაც ქარხანამ 5.000 მანეთი წლიური პირობითი ეკონომია მიიღო.

შ. ჯაფარიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე.

ტრადიციად გრძელდება

ტყიბული. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია გრძელდება ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და ტყლის ოლქის ქ. კომოსკოს „კრასნოარმეიაუგოლის“ ტრესტის მეშახტეთა ტოდ-ციული სოციალისტური შეჯიბრება.

ამ დღეებში გაიმართა ქ. კომოსკოსა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელის მუშაობაში მონაწილეობას ღებდა ტყიბულელ მეშახტეთა ბრიგადა 5 კაცის შემადგენლობით. აქტივის კრებამ შეაჯამა ტყლელ და ტყიბულელ მეშახტეთა გასული სამეურნეო წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებული გამოვიდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივი.

კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის კვლავაც გააგრძელონ შეჯიბრება და მიიღეს ახალი სოციალისტური ვალდებულებები.

ახალი პროდუქცია, სიახლე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მზადების დღეებში ახალ შრომითს წარმატებას აღწევს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი, რომელმაც გადაწყვიტა თერმეტი თვის საწარმოო გეგმის შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით სამშობლოს უპატაკოს შვიდ ნოემბერს. წელს გეგმით გათვალისწინებული 500 ათასი მანეთის ნაცვლად მან მიიღო 1.500 ათასი მანეთი მოგება.

კომბინატმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის დავალება და კარგი სტარტი აიღო საიუბილეო წელშიც. იანვარში მომხმარებელს გეგმის ჭადამეტებით გაეგზავნა 13 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი და ცხრა ტონაზე მეტი ნარი.

საიუბილეო წლის დასაწყისში ბევრი სახის ახალი პროდუქცია შეიმატა წარმოებას. უფრადღებას იპყრობს ქალის ლამაზად გაფორმებული თეთრეული, რომელიც არშიას კომბინატში ამზადებენ. წინათ კი იგი სხვა საწარმოებიდან შემოქონდათ. დაიწყო სინთეზური ბოჭკოსაგან ნართის — ტიტერონის მასობრივი წარმოება. ამ ნართის მომხმარებელი ქუთაისის ბრიშუმსაქსოვი ფაბრიკაა. ქუთაისგან ქუთაისელი ფეიქრები მამაკაცის ზედა პერანგებს ქსოვენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაინერგა კომბინატში. ამიერკავკასიაში პირველად აქ დაიდგა თეთრეულის საჩითავი მანქანა. ამ მანქანით მოჩითულ თეთრეულზე დიდი მოთხოვნილებაა.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ის საოჯახო საამქრო, რომელსაც კ. ცქერიშვილი უძღვება. ამ საამქროს ინარული საწარმოო დავალება 105 პროცენტით შესრულა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვში დაბრუნდა

8 თებერვალს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით მეგობრულ ვიზიტად იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. (საკდესი).

ლენინის ორდენი ვიეტნამელისა და მოგელის ოქროვნ

პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის, რაც მშრომელებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, და სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 8 თებერვლის ბრძანებულებით ბელორუსის სსრ **ვიტებსკისა** და **გომელის ოლქები** დაჯილდოვა **ლენინის** ორდენით. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის კომპარტიის დელეგაცია

7 თებერვალს მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობისა და სამდივნოს ბიუროს წევრი ამხ. პაოლო ბუფალინი (დელეგაციის მეთაური), იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ „უნიტას“ რომის გაბოლომის მთავარი რედაქტორი ამხ. მაურიციო ფერარი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ეროვნულ „რინასიტის“ მთავარი რედაქტორი ამხ. ლუჯი პაგოლინი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ა. გრამშის სახელობის ინსტიტუტის გენერალური მდივანი ამხ. ფრანკო ფერარი და კომპარტიის გამომცემლობა „ედიტორი რიუნიტის“ დირექტორი ამხ. რობერტო ბონჯიო.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲘ

9 თებერვალს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლენინის გორაზე გაიხსნა უმაღლესი სკოლის მუშაკთა თათბირი. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ჩვენი ქვეყნის 757 უმაღლესი სასწავლებლის პროფკავშირული, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელნი განიხილავენ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ორგანიზაციის, დისციპლინების სწავლების მეცნიერულ-თეორიული დონის ძირეული გაუმჯობესების, საკვლევი და აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხებს.

მოხსენებაა „უმაღლესი სასწავლებლების ამოცანები ჩვენი ქვეყნის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკაციალისტოთა მომზადების გაუმჯობესებისა და ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

გაიხსნა ინგლის-საბჭოთა კავშირის გამოფენა

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ სსრ კავშირის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა გახსნა ინგლის-საბჭოთა კავშირის ისტორიული გამოფენა.

ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმში გამოფენილი ექსპონატები ასახავენ ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას.

ინგლისელ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ლონდონის რატუშის დარბაზში შეიკრიბნენ ლონდონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ინგლისის კაბინეტის წევრები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საქმიანი წრეებისა და პრესის წარმომადგენელნი, რომ შეხვედროდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, მასთან ერთად ჩამოსულ სხვა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს.

საპატიო ადგ

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲘᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲕᲔᲮᲓᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ!

ᲔᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲐ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ!

ᲗᲑᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲭᲮᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ

ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲭᲮᲐᲐᲜᲨᲘ ერთი ბაღია, სადაც ოთხას ოცდათხუთმეტი ხე შრიალებს. ყოველ ხეს თავისი სახელი და გვარი აქვს. არცთუ დიდი ხნის წინათ ისინი ადამიანები იყვნენ, გულადი, ვაჟკაცი, ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც სამშობლოსათვის განწირეს თავი და ახლა ხეებად ამოვიდნენ, რომ ყოველ გაზაფხულზე გაიფოთლონ...

ერთ-ერთ იმ ხეში საპუნ-გოროსთან დაცემული ოცდახამი წლის ბიძინა ბოსტაშვილი ცოცხლობს. ზუსტად ოცდახამი წლის წინათ მოვიდა ზემო მაჩხაანში ბიძინას უკანასკნელი წერილი: „წერილების დაგვიანებას რატომ დარდობ ჩემო ძვირფასო დედა, შენი სურვილი იყო, რომ გმირები დავბრდილიყავით. ახა, რატომ შეგვარქვი სახელები: „შალვა, ბიძინა და ელიზბარი!“ ჩვენ გვინდა შენი ჩანაფიქრი შევასრულოთ. შეტევაზე ისე მივდივართ, როგორც ქორწილში. უკან კი შენი ძახილი მესმის: „მტერს ზურგი არ უჩვენო, მამა-პაპის სახელი არ შეარცხვინოო“.

არა, აქაურებს არასოდეს არ შეურცხვენიათ მამა-პაპის სახელი არც ბრძოლაში და არც შრომაში. ვახუშტის თქმისა არ იყოს, აქაურები ნამდვილად „არიან კაცნი მებრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მომყოლნი ურთიერთთა“.

აი ამ ფიქრებით მივედით 8 თებერვლის მზიან, მაგრამ მაინც ხუსხიან დღეს ზემო მაჩხაანის კულტურის სახლთან, სადაც თითქმის მთელ სოფელს მოეყარა თავი. ამ სოფელში 1432 კომლი ცხოვრობს. კაცმა რომ თქვას, სოფელი აღარც კი ეთქმის, უფრო დაბაა, გალამაზებული და გამშვენიერებული, ზემომაჩხაანელთა ალალი შრომით გაღონიერებული.

წლევანდელი წელიწადი ზემომაჩხაანელი კოლმეურნეებისთვისაც განსაკუთრებული წელიწადია. აქაურებს კუდში ჩანჩალი არ უყვართ. თუ შრომაა, შრომა იყოსო, ამბობენ. ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავს არავისზე ნაკლებად არ შეეხვდებითო. შვიდჯერ ზომავენ და ერთხელ სჭრიან. რომ იტყვიან, გათავებული საქმეა — გააკეთებენ კიდეც.

ამ შვიდჯერ გაზომილ და აწონილ-დაწონილ სიტყვებს ლაპარაკობდნენ ზემომაჩხაანელები თავიანთი კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელსაც წელს ოცდამეშვიდედ ჩაბარა ანგარიში ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკო მამაიაშვილმა.

ძველი ნათქვამია, სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო. ეს სიტყვები ზუსტად ნიკო მამაიაშვილზეა ზედგამოჭრილი. ახა, სხვანაირად ოცდამეშვიდედ ვინ აგირჩევს სოფლის თავკაცად, ვინ გეტყვის: „გაგვიძეხ, ბერო მინდია!“ თუ ვინმეა გონიერი, უპირველეს ყოვლისა თვითონ ხალხია, რომელსაც არასოდეს არ შეეშლება არჩევანი. აი სწორედ ხალხის გონიერებას მოსდევს სოფლის ღონიერება.

ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ძალა და ღონე კი დღეს არა მარტო საქართველოშია ცნობილი.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ამ გვერდში თვითონ ნახავს, თუ რაზე ილაპარაკეს ზემომაჩხაანელმა კოლმეურნეებმა. ნახავს, თუ რას მიაღწიეს მათ გასულ წელს და რას აპირებენ ჩვენი სახელმწიფოს ორმოცდამეათე წლისთავის შესახვედრად.

ჩვენ გვინდა მხოლოდ რამდენიმე ციფრი დავასახელოთ. ხანდახან ციფრი კარგ ეპითეტზე ან მეტაფორაზე მეტს ლაპარაკობს, ზუსტად გამოხატავს საქმის არსს. მით უმეტეს, თუ საქმე შეეხება ძალის ან შესაძლებლობის და არა მარტო სილამაზის გამოხატვას.

ᲑᲔᲕᲠᲘ რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ ვიტყვით, რის თქმაც გვინდა... ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲔᲘ. Ი. 1966 ᲬᲔᲚᲡ 717.876 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲛᲐ 2.796.094 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ (ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲐᲮᲐᲚ ᲤᲣᲚᲖᲔ). ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ 3.405.648 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ.

ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ — ᲤᲣᲚᲐᲓ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲚᲐᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ 1965 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲘᲪᲐ 409.158 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ, ᲔᲘ. Ი. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘᲡ 55.4 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲚᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲐᲠᲓᲐ.

ეს მეტად სასიამოვნო ფაქტია, თუმცა პროცენტის ენით, ცოტა არ იყოს, ძნელი გასაგებია, კონკრეტულად რას ნიშნავს ეს.

აი ორიოდე ცოცხალი მაგალითიც. ზემომაჩხაანელი მწყემსის Ი. ᲠᲝᲖᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ თვიურმა გამომუშავებამ შეადგინა 421 მანეთი, ხოლო მეორე მწყემსის ნ. ᲯᲐᲛᲐᲡᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ თვიურმა გამომუშავებამ — 419 მანეთი. იმათზე აღარაფერს ვამბობთ, ვინაც ასმა, ორასმა და სამასმა მანეთმა მოუწია. ეს ციფრები განა თვით ლამაზ სიტყვებზე უკეთ არ მეტყველებს ზემომაჩხაანელი გლეხკაცის ცხოვრებაზე? კარგი განწყობილებაც, რასაკვირველია, დაფასებულმა შრომამ იცის.

აი ეს კარგი განწყობილება იგრძნობოდა ზემომაჩხაანელთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც, 8 თებერვალს რომ გაიმართა.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲞᲐᲕᲚᲔᲚᲘᲫᲔ მეკავანაძე, რომელსაც დამსწრენი გულითადად შეხვდნენ.

ამხ. Ვ. ᲛᲔᲙᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔᲛ ილაპარაკა იმ დიდ სიკეთეზე, რაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმს მოჰყვა სოფლად, ილაპარაკა, თუ რა პასუხსაგებ ამოცანებს უნდა გაართვან თავი საქართველოს სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მშრომელებმა 1967 წელს — საუბილეო წელს, თუ როგორია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, კიდევ უფრო როგორ უნდა განვამტკიცოთ მისი სამხედრო ძლიერება და მტკიცედ ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის.

დიდხანს გაგრძელდა გულახდილი სტა-ბაასი ზემო მაჩხაანის შესანიშნავ კულტურის სახლში...

გარეთ მზე ჩახჩახებდა. აქა-იქ შერჩენილი თოვლი რომ არა, კაცი იფიქრებდა, გაზაფხულია და ეგ არისო.

ამ ჩახჩახა მზეს შეჰბაროდა ის ოთხას ოცდათხუთმეტი ხეც, მაჩხაანელებმა რომ დარგეს შინმოოსვლელი მამების, ძმების, შვილების მოსაგონრად და ნიშნად იმისა, რომ აუგს არავის არ ათქმევინებენ სისხლის ფასად მოპოვებულ ცხოვრებაზე.

Ბ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Ბ. ᲑᲐᲡᲢᲣᲠᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ სპეც. კორ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲭᲮᲐᲐᲜᲘ,
წითელწყაროს რაიონი.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲭᲮᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაში. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ (მარცხნიდან მარჯვნივ): ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲑᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲣᲠᲗᲐᲖ ᲜᲐᲑᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲐ ᲝᲜᲯᲝᲗᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲑᲝᲡᲢᲝᲚᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲐᲛᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲑᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲛᲐᲡᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲨᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ.

ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲝᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲝᲡᲢᲝᲚᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

მემინდვრეობის № 2 ბრიგადის ხელმძღვანელი

მოსახლეობა სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი რთული და პასუხსაგები კამპანია — საგაზაფხულო კულტურების თესვა. საფუძველი უნდა ჩაეყაროს ხუთწლედის მეორე წლის, საუბილეო წლის მოსავალს. ჩვენს ბრიგადას თესვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის მომზადებული და შეკეთებული აქვს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. საგაზაფხულო კულტურების თესლი მომზადებულია და კონდიციამდეა აყვანილი. თესვას ჩავატარებთ პროგრესული მეთოდით — ვიდრატულ-ბუდობრივად. გადახვნის წინ შეგიტანთ ორგანულ და მინერალურ სასუქებს. საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეულის ნათესებს შევასხურებთ ჰერბიციდებს. საგაზაფხულის შემთხვევაში სუსტად გაჯრთობილ შემოდგომის ნესტიან ადგილებში შევიტანთ მინერალურ სასუქებს. მაქსიმალურად გამოვიყენებთ ტექნიკას, დავზოგავთ საწვავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-წლისთავთან დაკავშირებით ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. აი ისინიც: საშემოდგომო ხორბალი დავთესეთ 830 კუბტარზე და საშუალოდ კუბტარზე მივიღეთ 20 ცენტნერ მარცვალს. საშემოდგომო ქერი დავთესეთ 106 კუბტარზე და ყოველ კუბტარზე მივიღეთ 20 ცენტნერ მოსავალი. მზესუნზიერას 268 კუბტარი ნათესის თვითეულ კუბტარზე მოვიღეთ 14 ცენტნერ მოსავალს, სიმინდს 50 კუბტარი ფართობის თვითეულ კუბტარზე მივიღეთ 22 ცენტნერს.

ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ შევასრულებთ ᲒᲐᲚᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ.

ᲕᲘᲪᲘᲠᲣᲚᲝᲗ რა ამ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲕᲘᲠᲗᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ მემინდვრეობის № 1 ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50-ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐᲜ დაკავშირებით ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. აი ისინიც: ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ ᲓᲐᲕᲗᲔᲡᲔᲗ 830 ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ 20 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ. ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲥᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲗᲔᲡᲔᲗ 106 ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲖᲔ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ 20 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ. ᲛᲖᲔᲡᲣᲜᲖᲘᲠᲐᲡ 268 ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲗᲣᲚ ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ 14 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ, ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲔᲡ 50 ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲗᲣᲚ ᲙᲣᲑᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ 22 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲡ.

ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ შევასრულებთ ᲒᲐᲚᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ.

ᲕᲘᲪᲘᲠᲣᲚᲝᲗ რა ᲐᲛ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲕᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ მემინდვრეობის № 1 ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲛᲐᲡᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

მექანიზაციის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანია ჩვენი ბრიგადის წვლილიც. ბრიგადაში ბევრი სახელოვანი მეგზურია, მათი თავდადებული შრომით ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის მოსავლიანობის დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.630 ცენტნერისა მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 2.310 ცენტნერი ხარისხოვანი ყურძენი.

უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა ჩვენი ბრიგადის მეორე რგოლმა, რომელსაც ზ. ბენაშვილი ხელმძღვანელობს. ამ რგოლში მსმენია არე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 88 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა.

სანაქებოდ იშრომეს ჩვენი ბრიგადის მეგვენახეებმა ბ. ტოკლიკიშვილმა, მ. ჯამასხვიშვილმა, გ. ალუღიშვილმა, ა. პოპიაშვილმა, მ. პოპიაშვილმა, მ. ქადაგიშვილმა, ს. ქადაგიშვილმა და სხვებმა.

ბრიგადის სახელით პირობას ვდებ, რომ წელს უფრო ენერგიულად ვიშრომებთ და 80 ცენტნერამდე გავადიდებთ ბრიგადაში ყურძნის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲑᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ,

მთავარი ზოოტექნიკოსი

ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲭᲮᲐᲐᲜᲘᲡ კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ერთ-ერთი მთავარი დარგია. მთელი ფულადი შემოსავლის 60 პროცენტზე მეტს მეცხოველეობიდან ვიღებთ.

განთქმულია ჩვენი მეძროხეობის ფერმა. აქ მხოლოდ ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვი გვყავს. ამიტომაც ჩვენი ფერმა რესპუბლიკაში ცნობილია როგორც ჯიშიანი პირუტყვის მომრავლებისა და გავრცელების ერთ-ერთი ბაზა.

ჩვენთან სახოგადოებრივ მეცხოველეობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მეცხვარეობას აქვს. გასული წელი მეცხვარეობის ფერმამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. მარტო მატყლის რეალიზაციიდან შემოსულია 394.599 მანეთი. ეს 123.996 მანეთით მეტია, ვიდრე 1963 წელს მივიღეთ. ეს წარმატება იმის შედეგია, რომ ვაუმჯობესებთ ცხვრის ჯიშს. ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვრის ნაცვლად ვამრავლებთ ნახევრატყლიან ჯიშებს.

როგორც ცნობილია, წარმატება მეცხოველეობაში ძირითადად დამოკიდებულია მტკიცე საკვებ ბაზაზე. ეს ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეებს კარგად ესმით და მთელი მათი გულისყური მიპყრობილია იქითკენ, რომ პირუტყვს ზამთარ-ზაფხულ უხვად ჰქონდეს უხვი, ჭვნისი და კონცენტრირებული საკვები, მუდამ მოვლილი და დაცული იყოს საზაფხულო სასუქებს. მაქსიმალურად გამოვიყენებთ ტექნიკას, დავზოგავთ საწვავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-წლისთავთან დაკავშირებით ჩვენი ბრიგადის წევრებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. აი ისინიც: საშემოდგომო ხორბალი დავთესეთ 830 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 20 ცენტნერ მარცვალს. საშემოდგომო ქერი დავთესეთ 106 ჰექტარზე და ყოველ ჰექტარზე მივიღეთ 20 ცენტნერ მოსავალი. მზესუნზიერას 268 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 14 ცენტნერ მოსავალს, სიმინდს 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 22 ცენტნერს.

ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ შევასრულებთ ᲒᲐᲚᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ.

ᲕᲘᲪᲘᲠᲣᲚᲝᲗ რა ᲐᲛ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲛᲐᲡᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

მექანიზაციის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანია ჩვენი ბრიგადის წვლილიც. ბრიგადაში ბევრი სახელოვანი მეგზურია, მათი თავდადებული შრომით ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის მოსავლიანობის დავალება. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.630 ცენტნერისა მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 2.310 ცენტნერი ხარისხოვანი ყურძენი.

უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა ჩვენი ბრიგადის მეორე რგოლმა, რომელსაც ზ. ბენაშვილი ხელმძღვანელობს. ამ რგოლში მსმენია არე ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 88 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა.

სანაქებოდ იშრომეს ჩვენი ბრიგადის მეგვენახეებმა ბ. ტოკლიკიშვილმა, მ. ჯამასხვიშვილმა, გ. ალუღიშვილმა, ა. პოპიაშვილმა, მ. პოპიაშვილმა, მ. ქადაგიშვილმა, ს. ქადაგიშვილმა და სხვებმა.

ბრიგადის სახელით პირობას ვდებ, რომ წელს უფრო ენერგიულად ვიშრომებთ და 80 ცენტნერამდე გავადიდებთ ბრიგადაში ყურძნის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲜᲐᲑᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ,

მთავარი ზოოტექნიკოსი

ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲭᲮᲐᲐᲜᲘᲡ კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ერთ-ერთი მთავარი დარგია. მთელი ფულადი შემოსავლის 60 პროცენტზე მეტს მეცხოველეობიდან ვიღებთ.

განთქმულია ჩვენი მეძროხეობის ფერმა. აქ მხოლოდ ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვი გვყავს. ამიტომაც ჩვენი ფერმა რესპუბლიკაში ცნობილია როგორც ჯიშიანი პირუტყვის მომრავლებისა და გავრცელების ერთ-ერთი ბაზა.

ჩვენთან სახოგადოებრივ მეცხოველეობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მეცხვარეობას აქვს. გასული წელი მეცხვარეობის ფერმამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. მარტო მატყლის რეალიზაციიდან შემოსულია 394.599 მანეთი. ეს 123.996 მანეთით მეტია, ვიდრე 1963 წელს მივიღეთ. ეს წარმატება იმის შედეგია, რომ ვაუმჯობესებთ ცხვრის ჯიშს. ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვრის ნაცვლად ვამრავლებთ ნახევრატყლიან ჯიშებს.

როგორც ცნობილია, წარმატება მეცხოველეობაში ძირითადად დამოკიდებულია მტკიცე საკვებ ბაზაზე. ეს ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეებს კარგად ესმით და მთელი მათი გულისყური მიპყრობილია იქითკენ, რომ პირუტყვს ზამთარ-ზაფხულ უხვად ჰქონდეს უხვი, ჭვნისი და კონცენტრირებული საკვები, მუდამ მოვლილი და დაცული იყოს საზაფხულო და საზამთრო საძოვრები. აქვე უნდა დავძენო, რომ საზოგადოებრივ მეურნეობაში საკვები ბაზის შექმნის რეზერვები საკმარისი არ არის. მაგალითად, ჩვენ მიერ წარმოებული კონცენტრირებული საკვები სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და ძირითადად დამოკიდებული ვართ სახელმწიფო ფონდზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვების ეკონომიურად და სწორად ხარჯვას.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲑᲐᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ,

კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერი

ᲓᲘᲓᲘᲐᲚᲘ ტექნიკაა თავმოყრილი ჩვენს კოლმეურნეობაში. საანგარიშო პერიოდისათვის კოლმეურნეობას ერიცხება 56 ტრაქტორი, ყველა მარკის კომბაინი — 30, ავტომანქანა — 77, ყველა სახის მისაბმელი მანქანა-იარაღი და მოწყობილობა — სამასზე მეტი. ეს ტექნიკა მომაგრებულია მემინდვრეობისა და მეგვენახეობის ბრიგადებზე, მეცხოველეობის ფერმებზე.

